სდასუ
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

შესულია ცვლილება 14.01.2023წ, ბრძ N 2.

აკადემიური საბჭოს რეგლამენტი

(კონსოლიდირებული)

თავი I.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) აკადემიური საბჭოს რეგლამენტი განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესსა და პროცედურას.
2. აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას განახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე.
3. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი, აკადემიური საბჭოს წევრები, რომლებიც აირჩევიან ფაკულტეტის საბჭოების მიერ და უნივერსიტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარე.
4. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტების მიერ.

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს მართვის პრინციპები

1. აკადემიური საბჭო უზრუნველყოფს:

ა) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, სამართლიანობასა და თანასწორუფლებიანობას, კეთილსინდისიერებას, ინსტიტუციურ განვითარებასა და სრულყოფას, კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას;
ბ) ღია, დინამიურ და გამჭვირვალე ურთიერთობებს.
გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;
დ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური და სხვა სახის შეხედულებების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად;
ე) საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულმა წევრმა პატივი სცეს სხვათა უფლებების დაცვას და განსხვავებულ მსოფლმხედველობას;
დ) არჩევნებისა და კონკურსების სამართლიანობას, გამჭვირვალობას, საჯაროობას.

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ავტონომიას და მეცნიერთა ინტეგრაციას.
ბ) აფუძნებს, აუქმებს და აერთიანებს სტრუქტურულ ერთეულებს;
გ) ფაკულტეტების წარდგინებით, ამტკიცებს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
დ) უზრუნველყოფს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევებისათვის სათანადო პირობების შექმნას;
ე) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან, სხვა

უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის გაფართოებას;
ვ) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დებულებას, აკადემიური საბჭოს რეგლამენტს, დოქტორანტურის სტანდარტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, მათი საქმიანობის მარეგულირებელ სხვა აქტებს, სასწავლო პროცესის რეგულირების წესს, უნივერსიტეტის შინაგანაწესს, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს;
ზ) ადგენს აკადემიური თანამდებობის დაკავების წესს;
თ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;
ი) ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;
კ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

1. აკადემიური საბჭოს არჩევნები ტარდება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით.
2. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტიდან აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა (ფაკულტეტის საბჭოს) მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კენჭისყრით.
3. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ასარჩევი პირის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს არანაკლებ 3 კაციან შემადგენლობას.
4. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მას ესწრება ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში პირი აირჩევა, თუ მას ღია კენჭისყრით მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა.
6. აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან აირჩევა მაქსიმუმ 2 წევრი.
7. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
8. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 3 წლით.
9. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
10. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე შესაძლებელია ჩატარდეს არჩევნები.
11. ვაკანტურ ადგილზე პირი აირჩევა აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა/შეჩერება

12. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეუწყდება:

1.1 სდასუ-ს აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში;
1.2 სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად (გარემოება, რომელიც დახმარების გარეშე და დამოუკიდებლად მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას, ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას), უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში;
1.3 აკადემიური საბჭოს წევრის მიმართ სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუვნებელი განაჩენის გამოტანის შემთხევაში;
1.4 სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეობის უფლებამოსილების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში;

1.5 სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის პირის 6 თვეზე მეტი ვადით პირის მონაწილეობას აკადემიური საბჭოს სხდომებში.

2. აკადემიური საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება:

2.1 ექვს თვემდე ვადით სასწავლო ან სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას;

2.2 ექვს თვემდე ვადით ავადმყოფობის ან შვებულებაში გასვლის შემთხვევაში;

2.3 სხვა გარემოების არსებობისას, რაც 6 თვემდე ვადით შეუძლებლს ხდის მის მონაწილეობას საბჭოს სხდომებში.

3. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის/შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

თავი II. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

მუხლი 6. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მუშაობის წესი

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.
2. აკადემიური საბჭოს მდივანი აკადემიური საბჭოს მიერ აირჩევა აკადემიური საბჭოს შემადგენლობიდან;
3. აკადემიური საბჭოს მდივნის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს სდასუ-ს რექტორს ან აკადემიური საბჭოს არანაკლებ 3 კაციან შემადგენლობას;
4. აკადემიური საბჭოს მდივანი არჩეულად ჩაითვლება, თუ მას ღია კენჭისყრაზე დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა;
5. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი;
6. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით;
7. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, კონკრეტული საკითხის გადასაწყეტად, შეიძლება დადგინდეს გადაწყვეტილების მიღების განსხვავებული წესი;
8. ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხმების რაოდენობა იანგარიშება საბჭოს სიითი შემადგენლობიდან უფლებამოსილებაშეჩერებულ წევრთა რიცხვის გამოკლებით;
9. აკადემიური საბჭოს წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან;
10. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;
11. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების გადასინჯვის ან გაუქმების უფლება აქვს უნივერსიტეტის რექტორს, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 7. აკადემიური საბჭოს სხდომები

1. აკადემიური საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სემესტრში ერთხელ.
2. თავმჯდომარეს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევებში საკუთარი ინიციატივით ან წევრთა 1/3 მოთხოვნით მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

მუხლი 8. დღის წესრიგი

1. აკადემიური საბჭოს მდივანი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს.
2. აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც აკადემიური საბჭოს მდივანს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 დღისა.
3. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 9. ხმის მიცემა

1. აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა).
2. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვის ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.
3. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.
4. ბიულეტენების მეშვეობით ფარული კენჭისყრის გამართვისას დგინდება ბიულეტენების ფორმა. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს.
5. ბიულეტენის შევსებისას აკადემიური საბჭოს წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა მისი გადახაზვით.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ბათილად ითვლება.

მუხლი 10. ოქმის წარმოება

7. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ოქმი იწარმოება აკადემიური საბჭოს მდივნის მიერ, რომელიც ფორმდება წერილობით.
8. ოქმი მოიცავს:

   ა) სხდომის თარიღს, დაწყებისა და დასრულების დროს;

   ბ) სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას;

   გ) დღის წესრიგს;

   დ) სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს;

   ე) განსახილველ საკითხზე წერილობითი განმარტებები გადაეცემა მდივანს ოქმის დანართის სახით.

   ვ) ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს მდივანი.

მუხლი 11. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილების მიღებისათვის განსაზღვრული წესით.

მუხლი 12. აკადემიური საბჭოს რეგლამენტის ძალაში შესვლა

1. აკადემიური საბჭოს რეგლამენტი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.